საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000084516339618

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ- ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 56

04 / ივლისი / 2018 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

საქართველოს კანონის „ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის „ ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი1

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 22/05/2017, 010250050.35.162.016397) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს მომდევნო რედაქციით:

„2. საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საბჭოს მდივნის, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შერჩეული ერთი წარმომადგენლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირებისაგან.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თამარ ყეინიშვილი

საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტი
GEORGIA AKHMETA MUNICIPALITY
ASSEMBLY